ს ა ე ქ ს პ რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისში, გაგარინის ქ. #10-ში, ს/კ 01.10.18.001.014 დაპროექტებული საზ.კვების ობიექტის კორექტირებული პროექტის “ტექნიკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად.

ექსპერტი:  თორნიკე დათებაშვილი

ქ.თბილისი 2026 წ.

საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის “ტექნუკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

ობიექტის მისამართი: ქ.თბილისი, გაგარინის ქ. #10,ს/კ 01.10.18.001.014

ობიექტის ფუნქცური დანიშნულება: საზ.კვების ობიექტი (კაფე/რესტორანი) საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორ(ებ)ი: შპს „არქ ქრიატიონ“ / ლევან ხუხაშვილი

წარმოდგენილი მასალა: კორექტირებული არქიტექტურული პროექტი („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით)

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისადადაკავებულობისდატვირთვებისშეფასებას;

ბ) კონსტრუქციისტიპებისშეფასებას;

გ) სიმაღლისადაფართობისშეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთანმისადგომების, გასავლელებისადაშენობიდანგამოსასვლელების შეფასებას;

ე)გზა-კიბეებისადასხვაგასასვლელისაშუალებებისგამტარუნარიანობებისშეფასებას;

ვ) მისაწვდომობისშეფასებას;

ზ) გარეკედლებისადმიმოთხოვნებისშეფასებას;

თ) სახურავისანაწყობებისშეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობისხარისხიანიმოთხოვნილიგამმიჯნავებისშეფასებას;

კ) ხანძრისაგანდაცვისსისტემებისშეფასებას;

ლ) წყალსადენისისტემისფიქსირებულიმოწყობილობებისშეფასებას; საექსპერტო დასკვნა ასევე მოიცავს:

მ) ლიფტების შეფასება;

კორექტირების მიზანი: კორექტირება განპირობებულია, კონსტრუქციულ და არქიტექტურულ ნაწილებს შორი არსებული შეუსაბამობების დაზუსტება, გარე მეტალის კიბის გაბარიტების დაზუსტება, ფასადების ნაწილში კარ-ფანჯრის სპეციფიკაციის (ნახატის) და წყალშემკრები მილების მდებარეობის დაზუსტება, ისე რომ არ არის გათვასლიწინებულია გზა-კარის ან სხვა გასასვლელი საშუალებების ზომების ან გაღების მიმართულების ცვლილება.

გამოკვლევა:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

- საპროექტო ობიექტისათვის და და მისი ცალკეული ნაწილებისთვის განსაზღვრული დაკავებულობები არის:
- -3,20 ნიშნულზე - თვ-2 კვების ბლოკი და სამზარეულო და დამხმარე სათავსები დს დაკავებულობა.
- 0,00 ნიშნულზე თვ-2 კაფე-რესტორანი ანტრესოლით.
- დაკავებულობის დატვირთვის ნაწილშისაპროექტო დოკუმენტაციაში მოცემულიინფორმაცია აკმაყოფილებს„წესების“ მე-3 თავის და ცხრილი 1004.1.2-ის მოთხოვნებს, კერძოდ:

სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე.

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

შეფასებული იქნა საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი (II-B ტიპი) , რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და აკმყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

(ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემეტებისათვის კონსტრუქციის ტეპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე და ფართობი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციის ტიპთან დააკმაყოფილებს„წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

არჩეული კონსტრუქციის ტიპი არის (II-B ტიპი), შენობის სიმაღლე მიწის დონიდან, შეადგენს 6,00 მეტრს, ხოლო ყველაზე მაღლა მდებარე დაკავებული იატაკის დონე 6 მეტრის ტოლია.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები სშეფასება:

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

- შენობის (ცხრილი 1021.2(2)) მიხედვით ესაჭიროება მინიმუმ 2 გასასვლელის მოწყობა -3.20 სართულისათვის და სახურავისათვის - პროექტით გათვალისწინებულია - 2 გასასვლელი, პირველი სართულისათვის მოთხოვნილია 3 გასასვლელი დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია 3 გასასვლელი გზა-კარის სახით.
- საპროექტო შენობა არ არის მაღლივი და შესაბამისად შიგა გასასვლელის გზა კიბეები არ არის აუცილებელი, რომ იყოს კვამლისგან დაცული შემოზღუდული სივრცეები, თუმცა იქ სადაც კიბეების განიავება ვერ ხერხდება ბუნებრივად, ისინი ნიავდება მექანიკურად ანუ მოწყობილია დაწნევის სისტემა (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი);

შენიშვნა: გზა-კიბეების და ვესტიბიულების დაწნევა/განიავება უნდა მოხდეს 909.20 ქვეთავის შესაბამისად.

- 1022.2 ქვეთავის თანახმად, გზა-კიბეები (როგორც შიგა გასასვლელის, ასევე გარე გასასვლელის) დანარჩენი სივრცეებისგან შემოზღუდული უნდა იყოს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც პროექტით გათვალისწინებულია, ანუ როგორც გზაკიბეების, ასევე ვესტიბიულების შემომზღუდავებს (მათ შორის გარე კედლებს) წარმოადგენს ბეტონის ბლოკის კედლები, რომლებსაც 721.1(2) ცხრილის თანახმად გააჩნია ცეცხლმედეგობის მოთხოვნილი ხარისხი (იხ. პირობითია ღნიშვნები). იქ სადაც ვესტიბიულია, გზა-კიბე წარმოადგენს კვამლისგან დაცულ შემოზღუდულ სივრცეს და 909.20.4.1 ქვეთავის თანახმად, ვესტიბიულიდან გზა-კიბეზე მისადგომი ღიობები დაცულია 20 წუთიანი ცეცხლმედეგობის კარის ანაწყობებით, ხოლო შენობიდან ვესტიბიულში

გასასვლელი კარის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 90 წუთი, რაცა კმაყოფილებს 909.20.2 და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- შიგა გასასვლელი გზა-კიბის თავისუფალი სიგანე (მოაჯირებს შორის) არის 0,9 მ, ხოლო გარე გასასვლელის გზა-კიბეების - 0,9 მ, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები 1013 ქვეთავის შესაბამისად. სახელურები მოწყობილია კიბის ორივე მხარეს, 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და

თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზაკიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ყველა კარის (რომელიც არის გასასვლელი საშუალების ნაწილი/კომპონენტი) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს ღიობის 0.82 მზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს;
- დერეფნების მინიმალური სიგანე ყველგან 1005.3.2 ქვეთავისა და 1018.2 ცხრილის მიხედვით დასაშვებ მინიმუმზე (1.20 მ) მეტია; გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“მოთხოვნებს.

ვ) მისაწვდომობის შეფასება:

- შენობის ყველა ნაწილში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა, რაც 1103.2.11 პუნქტით არის განპირობებული. შესაბამისად შენობაში გათვალისწინებულია ასევე მისაწვდომი ლიფტი. მითითებულია მისაწვდომი სვლაგეზი, შესასვლელებიდან მისაწვდომ ლიფტამდე და ზედა სართულებზე.

- საპროექტო შენობაში შესასვლელი ორი გზა-კარიდან ორი გზა-კარი (ორი მთავარი შესასვლელი) გადის ბაქანზე, რომელიც თავის მხრივ პირდაპირ უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს პანდუსის გარეშე.

- რადგან საპროექტო შენობის, როგორც მიწის დონის ზემოთა, ასევე მიწის დონის ქვემოთა სართულებს ესაჭიროება ერთზე მეტი გასასვლელი საშუალება, 1007.1 ქვეთავის მიხედვით, საჭიროა მოეწყოს არანაკლებ ორი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც პროექტით გათვალისწინებულია, კერძოდ: მიწისქვეშა სართულს ემსახურება მისაწვდომი ლიფტი (იხ. განმარტებითი ბარათი); შენობიდან გამოსასვლელ დონეს (-0.00 ნიშნული) ემსახურება 2 მისაწვდომი გზა-კარი; მიწის დინიდან ზემოთა დონეებს ემსახურება ერთი ლიფტი და ორ-ორი გზა-კიბე (ვინაიდან შენობა მთლიანად აღჭურვილია 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით, 1007.3 ქვეთავის №1 გამონაკლისის თანახმად,

მოაჯირებს შორის1.2 მ სიგანე საჭირო არ არის, თუმცა დაპროექტებულია უფრო განიერი კიბე;

შენიშვნა: მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად რომ ჩაითვალოს, ლიფტი უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ASMEA17-ის 2.27 ქვეთავში. სათადარიგო ელექტრო მომარაგება 1703-ე ქვეთავის შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

- ვინაიდან შენობა მთლიანად აღჭურვილია 903.3.1.1 ან 903.3.1.2 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემით, გზა-კიბეების ფარგლებში თავშესაფრის ფართობების მოწყობის საჭიროება, 1007.3 ქვეთავის №2 გამონაკლისის თანახმად, არ არის;
- ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების კომპონენტია, არის მისაწვდომი;
- ყველა სასადილო ფართობი არის მისაწვდომი, ამასთან თითოეული სივრცის სასადილო ზედაპირების რაოდენობის 5% არის მისაწვდომი და აკმაყოფილებს 1108.2.9.1 ქვეთავში მოთხოვნილ რაოდენობას;
- შენობის -3,20 ნიშნულზე დაგეგმარებულია მისაწვდომი ტუალეტი.
- ყველა სართულის გეგმაზე ასახულია მისაწვდომი სვლაგეზი, რომელიც სწორად არის განსაზღვრული და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს;

შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა და აკმაყოფილებს „წესების“მოთხოვნებს.

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- შენობის გარე კედლებს ხანძარ საწინააღმდეგო მანძილების და კონსტრუქციის ტიპის გათვალისწინებით დაცულია 602 ცხრილისმოთხოვნები
- გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 705.8 ცხრილის მოთხოვნებთან.
- გარე კედლებს ნაწილობრივ გააჩნია პარაპეტი, რომლის არსებობა ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის .

შენიშვნა: ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გარე კარისა და ფანჯრისანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების (მათ შორისპარაპეტის) დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა დასახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან),ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდამოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლის ზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების შესაბამისად არის გამოთვლილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

თ) სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კონსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა, მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები.
- სახურავზე გასასვლელად გათვალისწინებულია 2 გზა-კიბე, რომელსაც აქვს ტექნიკური დანიშნულება მომსახურებისათვის, ვინაიდან სახურავი არის არაექსპლუატირებადი.

- 601 ცხრილის მიხედვით, შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (II-B) გამომდინარე, სახურავის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახურავის კონსტრუქცია მონოლითური რკინა-ბეტონის არის, რომელსაც 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი გააჩნია;
- სახურავის არ გააჩნია ნაშვერები;

ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში. შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით უნდა აიგოს.

სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

- შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, გარდა იმ ფართობებისა, სადაც „წესების“ მიხედვით განსაზღვრული არ არის;
- შენიშვნა: ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 903.3.1 - 903.3.6ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).
- ტუმბოს ოთახი, სამზარეულოს გამწოვი მოწყობილობა და არხების სისტემა აღჭურვილია ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემებით (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი);

შენიშვნა: ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები უნდამოეწყოს 904-ე ქვეთავის შესაბამისად.

- გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა. მილდგარების სახელოს მისაერთებლები ისეა განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი ექცევა 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში.
- შენიშვნა: სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 905 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.
- შენობაში გათვალისწინებულია კვამლის კონტროლის სისტემა, კერძოდ: შიგა გასასვლელის გზა-კიბის უჯრედს, კიბის ვესტიბიულს, ლიფტის შახტას და ლიფტის ტამბურს გააჩნია დაწნევის სისტემა, ხოლო დერეფნები აღჭურვილია მექანიკური კვამლგამწოვი სისტემებით (იხ. განმარტებითი ბარათი და ცხრილი).

შენიშვნა: სისტემები უნდა მოეწყოს 909 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:

1) 907.2.9.1 ქვეთავის მიხედვით საჭირო სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა,

რომლის კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60 მ-ს არ აღემატება;

2) კვამლის ავტომატური აღმომჩენები, რომლებიც განთავსებულია, დერეფნებში, სახანძრო

ტუმბოების ოთახში და ლიფტის ფოიეში; შენიშვნა N1: სახანძრო განგაშის სისტემები უნდა მოეწყოს 907.2 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- შენობის -3.20 ნიშნულზე განთავსებულია სახანძრო ტუმბოების ოთახი;
- შენიშვნა: სახანძრო ტუმბოებთან დაკავშირებით დაცულ უნდა იქნეს 913-ექვეთავის მოთხოვნები.

- შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება.

შენიშვნა: ცეცხლმაქრები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906 ქვეთავისა და NFPA 10ის შესაბამისად (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებულისტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- საპროექტო მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ერთი მისაერთებლის მოწყობა, რაც მოთხოვნილია „წესების“ 912 ქვეთავით. შენიშვნა: სახანძრო მისაერთებლები უნდა განთავსდეს NFPA -ის სტანდარტების შესაბამისად (რომლების ეხება სისტემების დაგეგმარებას) და უნდააკმაყოფილებდეს 912.2912.5 ქვეთავების მოთხოვნებს (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება). ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს. კერძოდ:

- სახანძრო ტუმბოების ოთახში, (დს) ტუალეტების და ზოგადად წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების არსებობა, 1602.1 ცხრილის მიხედვით, საჭირო არ არის და არც პროექტით არის გათვალისწინებული;

- -3,20 ნიშნულზე, ფოიეში გამოყოფილია სივრცე სადაც მოწყობილია საერთო სარგებლობის ტუალეტი, თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე მოწყობილობებით და ერთი დამოუკიდებელი მისაწვდომი ტუალეტი. დამატებით, მომსახურე პერსონალისთვის ცალკე, დამოუკიდებელი ტუალეტია გათვალისწინებული სამზარეულოსთან -3,20 ნიშნულზე. აქვეა მოწყობილი სამომსახურო ნიჟარაც. როგორც რესტორანი, ასევე ფოიე უზრუნველყოფილია სასმელი წყლის აპარატებით, რაც თავისთავად ასრულებს ცხრილის მიხედვით განსაზღვრული წყლის დასალევი შადრევნის ფუნქციას.

<u>წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

მ) ლიფტების შეფასება:

- საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია 1 ლიფტი, რომელსაც არ გააჩნია 713.14.1 ქვეთავის თანახმად საჭირო შემოზღუდული ფოიე/ტამბური, რაც დასაშვებია, რადგან დაცულია 713.14.1 ქვეთავის N4 და N6 გამონაკლისის მოთხოვნები;
- ვინაიდან საპროექტო შენობის სართულიანობა მიწის დონიდან ზემოთ არ არის ხუთი სართული, დაგეგმარებულია მხოლოდ შშმპ მისაწვდომი ლიფტი. შენიშვნა N1: <u>ლიფტები უნდა მოეწყოს მე-17 თავის მოთხოვნათა დაცვით.</u>

<u>ლიფტებითან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

შენობის სივრცეების დაკავებულობის და გასასვლელების ნაწილში, განხორციელებულია, არა არსებითი ცვლილებები და შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.

დასკვნა ქ.თბილისში, გაგარინის ქ. #10, საზ.კვების ფუნქციით დამუშავებული კორექტირებული პროექტი, შესაბამისობაშია “ტექნიკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

გაფრთხილება!

1) კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.

2) სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები (რომლებიც გამოყენებული იქნება სახანძრო მილდგარების სისტემის მისაერთებლებთან), სახანძროსამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი და ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.

3) სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- განიავების და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები
- კვამლის საკონტროლო სისტემა
- ლიფტი და ლიფტის კაბინის განათება
- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად

- სახანძრო განგაშის სისტემები

- ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები)

4.ყველა ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი უნდა აკმაყოფილებდეს 716.5 ქვეთავის მოთხოვნებს;

5.არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე;

6.უკანონოდ ჩაითვლება შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის.

ექსპერტი:  თ.დათებაშვილი

გამოყენებული მასალები:

შპს "არქ ქრიატიონ"-ის მიერ, ქ.თბილისში, გაგარინის ქ. #10-ში ს/კ 01.10.18.001.014, შესრულებული საზ.კვების ობიექტის შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

1. „მშენებლობისნებართვისგაცემისწესისადასანებართვოპირობებისშესახებ“ საქართველოსმთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება.
2. „ტექნიკურირეგლამენტის„შენობა-ნაგებობისუსაფრთხოებისწესების“ დამტკიცებისთაობაზე“საქართველოსმთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება

დანართი N4

პროფესიული ბიოგრაფიული მონაცემები (CV)

პოზიცია პროექტში	არქიტექტურული ნაწილის ხელმძღვანელი
სახელი/გვარი	თორნიკე დათებაშვილი
დაბადების თარიღი/ადგილი	21/06/1980 თბილისი
მოქალაქეობა	საქართველო

განათლება:

მაგისტრატურა - 1999 – 2005 წწ.

ქ. თბილისის სახელმწიფო სამხავტრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი-- არქიტექტურის სპეციალობა.

სამუშაო გამოცდილება:

პერიოდი	ქვეყანა	ორგანიზაცია	პოზიცია	ფუნქცია/მოვალეობები
2015-2020 წწ.	საქართველო	შპს "ჯდ სტუდიო"	არქიტექტორი	არქიტექტურული პროექტების მომზადება.
2021 - 2025 წწ	საქართველო	შპს "თბილქალაქპროექტი"	დამფუძნებელი და მთავარი არქიტექტორი	არქიტექტურული პროექტების მომზადების ხელმძღვანელობა.
2020-დღემდე წწ.	საქართველო	შპს "ჯდ სტუდიო"	დამფუძნებელი და დირექტორი	არქიტექტურული პროექტების მომზადების ხელმძღვანელობა და მენეჯმენტი.

კომპიუტერული პროგრამები: **Archicad, Autocad, photoshop**

წევრობა პროფესიულ ასოციაციებში: არ ვარ ასოციაციების წევრი

აკადემიური საქმიანობა: არ ვეწევი აკადამიურ საქმიანობას.

ენების ფლობა:

ენა	კითხვა	საუბარი	წერა
ქართული	ძალიან კარგი	ძალიან კარგი	ძალიან კარგი
ინგლისური	კარგი	კარგი	კარგი
რუსული	კარგი	კარგი	კარგი

განხორციელებული პროექტები და ჩართულობა აღნიშნულ პროექტებში

წელი ქვეყანა	პროექტი, პროექტში ჩართულობა, შესრულებული სამუშაო, ფართობი	დამკვეთი	პოზიცია
2010-2016 წწ. საქართველო	ქ. თბილისში, წინანდლის, N 9 -ში მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.17.13.001.315) არსებული საავადმყოფოს რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის მომზადება. ფართობი - 1200 კვ.მ.	შპს კარდიოლოგიური კლინიკა "გული (ს/ნ 206048533)	არქიტექტორი
2013-2016 წწ. საქართველო	ქ. თბილისში, გზატკეცილი წყნეთი N1, ქუჩა წყნეთი N1-ის მიმდებარედ (ნაკვ.N2/100) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.14.14.002.100) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის მომზადება. ფართობი - 15 700 კვ.მ.	შპს „დიოქსი“ (ს/ნ 405119312) და მანანა დავითაია (პ/ნ 01030012357)	მთავარი არქიტექტორი
2015-2023 წწ. საქართველო	ქ. თბილისში, გამზირი მოსკოვი, N24ა-ში საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.19.34.002.190), მრავალფუნქციური სავაჭრო, საოფისე, საცხოვრებელი შენობის არქიტექტურული პროექტის მომზადება ფართობი - 11 000 კვ.მ.	შპს "ისანი კომფორტი" (ს/ნ 404480101)	მთავარი არქიტექტორი
2016-2019 წწ. საქართველო	ქალაქი თბილისი , ასათიანისა და დელისის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.15.007.119) სავაჭრო-საოფისე შენობის არქიტექტურული პროექტის მომზადება. ფართობი - 2100 კვ.მ.	შპს "კაპიტალ ინვესტ გრუპ" (ს/ნ405206799)	არქიტექტორი

2017 წ. საქართველი	ქ. გორში, სამეფოს ქ. № 70-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.45.25.127) სავაჭრო ცენტრის არქიტექტურული პროექტის მომზადება. ფართობი - 850 კვ.მ	გიორგი ჩაჩანიძე (პ/ნ 0102406975108	არქიტექტორი
2018 წ. საქართველო	ქ. ბათუმში ლეონიძეს ქ. #13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.25.07.018) საგამოფენო- სავაჭრო და სასაწყობე შენობის არქიტექტურული პროექტის მომზადება. ფართობი - 10 800 კვ.მ	შპს "დემასი" (ს/ნ 200066221)	არქიტექტორი
2019-2025 წწ. საქართველო	ქალაქი თბილისი , მეტროსადგურ "სარაჯიშვილის" მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.02.001.079) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა (სავაჭრო, საოფისე, სასტუმრო და საცხოვრებელი) არქიტექტურული პროექტის მომზადება. ფართობი - 17 870 კვ.მ.	შპს „ბრიქსი სარაჯიშვილი“ (ს/ნ 400278061)	მთავარი არქიტექტორი
2021 წ. საქართველო	ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N71-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (N 01.13.01.018.714) სავაჭრო ცენტრის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის მომზადება. ფართობი - 10 000 კვ.მ	შპს "დემასი" (ს/ნ 200066221)	მთავარი არქიტექტორი
2020 - 2021 წ. საქართველო	ქალაქი თბილისი , გამზირი ფარნავაზ მეფის , N3 და N5 -ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთზე (01.10.06.011.077 / 01.10.06.011.014 / 01.10.06.011.084) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადება. ფართობი - 6 100 კვ.მ.	შპს „აკა“ (ს/ნ 402039744)	მთავარი არქიტექტორი
2021 -2023 წწ. საქართველო	ქალაქი თბილისი , გამზირი ფარნავაზ მეფის , N3 და N5 -ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.06.011.096) მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის მომზადება. ფართობი - 31 400 კვ.მ.	შპს „აკა“ (ს/ნ 402039744)	მთავარი არქიტექტორი

2022 -2023 წწ. საქართველო	ქალაქი თბილისი სოლომონ IIII-ის ქუჩა , N 4 -ში (01.18.06.006.311), 01.18.06.006.311), უმაღლესი სასწავლებელის შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის მომზადება. ფართობი - 3760 კვ.მ.	შპს "სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი" (ს/ნ 204909858)	მთავარი არქიტექტორი
2022–2024 წწ. საქართველო	ქალაქი თბილისი, ქუჩა ჩაისუბანი, N 7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.16.06.039.014) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის მომზადება. ფართობი - 980 კვ.მ.	შპს „სახლი გოგებაშვილზე“ (ს/ნ 405376203)	მთავარი არქიტექტორი
2022–2024 წწ. საქართველო	ს ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი, N 83ა-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.21.003.163) მრავალფუნქციური კომპლექსი (სავაჭრო ცენტრი; სასაწყობე შენობები) არქიტექტურული პროექტის მომზადება. ფართობი - 13 100 კვ.მ	შპს "დემასი" (ს/ნ 200066221)	მთავარი არქიტექტორი
2023 – 2024 წ. საქართველო	ქ. თბილისში, ნ. იზაშვილის ქ. N17-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.17.01.082.003) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის მომზადება.	შპს „ცენტრა ისთეით“ (ს/ნ 404642053)	მთავარი არქიტექტორი
2023 – 2024 წ. საქართველო	ქ. თბილისი სოფელი წავკისი, (ს/კ 01.15.08.022.008) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტის მომზადება. ფართობი - 290 კვ.მ.	ნინო კავთიაშვილი (პ/ნ 01008009589)	მთავარი არქიტექტორი
2023 – 2024 წ. საქართველო	ქალაქი თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, N 3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.34.002.137) მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საოფისე და საცხოვრებელი) არქიტექტურული პროექტის მომზადება. ფართობი - 11 100 კვ.მ,	შპს “სქაი ჰაუსი'' (ს/ნ 405357607)	მთავარი არქიტექტორი
2023-2024 წ. საქართველო	ხობის რაიონში, სოფელ ახალი ხიბულას (ს/კ 45.02.23.389) საჯარო სკოლის პროექტის მომზადება. ფართობი - 2700 კვ.მ.	შპს “ინსი” (ს/ნ 206278516)	მთავარი არქიტექტორი

2023-2024 წ. საქართველო	ჩხოროწყუს რაიონში, სოფელ ნაფიჩხოვოს (ს/კ 46.08.34.009) საჯარო სკოლის პროექტის მომზადება. ფართობი - 3100 კვ.მ.	შპს “ინსი” (ს/ნ 206278516)	მთავარი არქიტექტორი
2023-2024 წ. საქართველო	ქ. თბილისში, ქუჩა ც. დადიანი , N 160 -ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.12.12.004.035) თბილისის #11 საჯარო სკოლის პროექტის მომზადება. ფართობი - 5200 კვ.მ	შპს “ინსი” (ს/ნ 206278516)	მთავარი არქიტექტორი
2023-2024 წ. საქართველო	ქ ჩხოროწყუში ჭავწავაძის ქ. N32-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 46.02.31.075) ქ. ჩხოროწყუს N1 საჯარო სკოლის პროექტის მომზადება. ფართობი - 4100 კვ.მ	შპს “ინსი” (ს/ნ 206278516)	მთავარი არქიტექტორი
2024 წ. საქართველო	ქ. თბილისში, ქუჩა თბილისი, ვარლამ თოფურიას ქუჩა, N 14-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.04.005.006) თბილისის #128 საჯარო სკოლის პროექტის მომზადება. ფართობი - 4200 კვ.მ	შპს “ინსი” (ს/ნ 206278516)	მთავარი არქიტექტორი
2024-2025 წწ. საქართველო	ქალაქი თბილისი, იაკობ გოგებაშვილის I შესახვევი, N 3ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.15.02.043.012 და 01.15.02.043.013) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის მომზადება. ფართობი - 960 კვ.მ	შპს „მიდამო კრწანისი“ (ს/ნ 405640329)	მთავარი არქიტექტორი
2024-2025 წწ. საქართველო	ქ. თბილისში, რუსუდან მიქელაძის ქუჩა, N 59, (საკადასტრო კოდი 01.17.13.011.009), ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის მომზადება. ფართობი - 570 კვ.მ.	ედუარდ მიქაძე (პ/ნ 01014001689)	მთავარი არქიტექტორი
2025 წ. საქართველო	ქ. თბილისში, გიორგი საკაძის I გასასვლელი, N 7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.13.023.150) არსებული შენობის რეკონსტრუქციის (საგამოფენო დარბაზი) არქიტექტურული პროექტის მომზადება. ფართობი - 950 კვ.მ.	შპს "პიტ-სტოპ" (206114505)	მთავარი არქიტექტორი

ინდივიდუალური პროექტები:

წარმოდგენილი რეზიუმე სწორად აღწერს ჩემს კვალიფიკაციას და გამოცდილებას. პროფესიული ბიოგრაფიული მონაცემები შევსებულია ჩემს მიერ და წარმოდგენილ ინფორმაციის სისწორეს ვადასტურებ ხელმოწერით.

ხელმოწერა 

პოზიცია პროექტში - არქიტექტურული ნაწილის ხელმძღვანელი

სახელი გვარი - თორნიკე დათებაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 24ბ, ბინა 49
ელექტრონული მისამართი: tornikedatebashvili@gmail.com
მობ.: 551 402 060


სერტიფიკატი

№ 2017-009

გადაეცემა

თორნიკე დათებაშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი